



ფორუმი ადამიანის უფლებებისთვის - ქუთაისი



ფორუმი ადამიანის უფლებებისთვის



20 ოქტომბერი, 2022



სატუმრო „Best Western“
გრიშაშვილის ქუჩა N11 | ქუთაისი

ღონისძიების შესახებ

ფორუმი ადამიანის უფლებებისთვის 2018 წელს დაფუძნდა და მისი მიზანია ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე რეგიონული ორგანიზაციებისა და აქტივისტებისთვის საკონტაქტო ქსელის გაზრდა, რეგიონებში უფლებადაცვითი აქტივიზმის გაძლიერება და ხელშეწყობა.

ფორუმი ადგილია, სადაც უფლებადაცვითი ორგანიზაციები, ინიციატივები და აქტივისტები ამყარებენ ახალ კონტაქტებს სამომავლო და ერთობლივი თანამშრომლობისთვის, უზიარებენ ინფორმაციას თავიანთი საქმიანობის შესახებ უფრო ფართო საზოგადოებას და სხვ.

ღონისძიების ფორმატის მიხედვით, ფორუმისთვის წინასწარ შერჩეული მონაწილე ორგანიზაციები მათთვის ინდივიდუალურად მოწყობილ სტენდთან იქნებიან წარმოდგენილნი.

ფორუმი ადამიანის უფლებებისთვის ადამიანის უფლებათა სახლის ფონდის (HRHF) მხარდაჭერით ხორციელდება.





დღის წესრიგი

16:00 - ფორუმის გახსნა

16:30 - კანელური დისკუსია

თემა: საქართველოს რეგიონები - საჭიროებები და გამოწვევები

მოდერატორი: ნათია თავბერიძე - „ადამიანის უფლებათა სახლი“

მომხსენებლები:

- ცაბუნია ვართაგავა („თბილისის პრაიდის“ რეგიონული წარმომადგენელი (სამეგრელო)“ - რეგიონული აქტივიზმის და ქალთა/ლგბტ საკითხებზე მუშაობის გამოწვევები რეგიონში
- ვალერი ასათიანი (ადვოკატი) - გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობები რეგიონში
- ანა ჩაფიძე („GCRT ქუთაისი“) - ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საჭიროებები რეგიონში
- ნესტან ანანიძე („სოლიდარობის თემა“) - აჭარის რეგიონის მრავალფეროვნება და მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური გამოწვევები

17:30 - ფორუმის მონაწილე ორგანიზაციების ინდივიდუალური სტენდების დათვალიერება, პირისპირ კომუნიკაცია

18:30 - ფორუმის დახურვა



ფორუმის მინაწილე ორგანიზაციები/ინიციატივები

"სოლიდარობის თემი"

რეგიონი: აჭარა

ქალაქი/სოფელი: დაბა ხულო

საქმიანობის სფერო: სოლიდარობის თემის მიზანია აჭარის შესახებ ცნობადობის ზრდა, კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა, სოციალური და სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება, მუსლიმი თემის თვითორგანიზების მხარდაჭერა და სოლიდარობის პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა

არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებებისა და განათლებისთვის“

რეგიონი: იმერეთი

ქალაქი/სოფელი: ქუთაისი

საქმიანობის სფერო: „უფლებებისა და განათლებისთვის“ მუშაობს ქალთა, გოგონათა, შშმ პირთა, სოციალურად დაუცველთა უფლებების დაცვისა და განათლების ხელშეწყობის მიმართულებით. ორგანიზაცია ასევე ეწევა გარემოსდაცვით საქმიანობას.

"მომავლის განვითარების სახლი"

რეგიონი: იმერეთი

ქალაქი/სოფელი: ქუთაისი

საქმიანობის სფერო: „მომავლის განვითარების სახლი“ საქმიანობს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მოზარდთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიმართულებით. ორგანიზაცია ასევე სამართლებრივ დახმარებას უწევს მოწყვლად ჯგუფებს.

"საქართველოს კარიტასი"

რეგიონი: იმერეთი

ქალაქი/სოფელი: ქუთაისი

საქმიანობის სფერო: საქველმოქმედო ფონდი საქართველოში 1994 წელს დაფუძნდა და დღემდე აქტიურად მუშაობს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, ჰუმანიტარული, სოციალური, ჯანმრთელობისა და განვითარების სფეროში. ორგანიზაციას წარმომადგენლობა ჰყავს ქუთაისშიც.

„მეგობარი ადვოკატები“

რეგიონი: იმერეთი

ქალაქი/სოფელი: ქუთაისი

საქმიანობის სფერო: „მეგობარი ადვოკატები“ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს სოციალურად დაუცველი ჯგუფების, მათ შორის დევნილ მოქალაქეების თემების ადვოკატირებაზე და უწევს მათ სამართლებრივ დახმარებას. ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფს ქუთაისში, ბაღდათში, წყალტუბოსა და თერჯოლაში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები, დევნილები, ახალგაზრდები და შშმ პირები წარმოადგენენ.



„დიმელი ქალები“

რეგიონი: იმერეთი

ქალაქი/სოფელი: ბაღდათი, სოფელი დიმი

საქმიანობის სფერო: საინიციატივო ჯგუფი მუშაობს სოფელ დიმში მცხოვრები ქალების ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობის გაძლიერებისთვის.

„ქუთაისის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“

რეგიონი: იმერეთი

ქალაქი/სოფელი: ქუთაისი

საქმიანობის სფერო: ააიპ „ქუთაისის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის“ მიზანს შშმ პირთა მდგომარეობის გაძლიერება და მათ უფლებათა დაცვა წარმოადგენს.

„თაობათა დიალოგი“

რეგიონი: იმერეთი

ქალაქი/სოფელი: ქუთაისი

საქმიანობის სფერო: სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" - RICDOG მუშაობს მეცნიერების, ეკოლოგიის, ახალგაზრდების, დემოკრატიის და კულტურის მიმართულებით. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები მიზნად ისახავს ახალგაზრდების უნარებისა და კომპეტენციების გაძლიერებას.

გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეა“

რეგიონი: სამეგრელო

ქალაქი/სოფელი: სენაკი

საქმიანობის სფერო: გარემოსდაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია "დეა" გარემოსდაცვით, ქალთა, ადამიანის უფლებათა და ახალგაზრდული პოლიტიკის თემებზე მუშაობს. ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფს ქალები, ახალგაზრდები, საჯარო მოხელეები, ფერმერები და კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები წარმოადგენენ.

„საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია“

რეგიონი: აჭარა

ქალაქი/სოფელი: ბათუმი

საქმიანობის სფერო: საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია“ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანის ღირსეულ, თანაბარუფლებიან გარემოში ცხოვრების უფლებების იბრძვის. ასოციაციის მისიაა ადამიანს დაუნის სინდრომით შეუქმნას თანაბარ უფლებებზე დაფუძნებული, ღირსეული გარემო. ორგანიზაცია ცდილობს უზრუნველყოს დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების სრულყოფილი ჩართვა და მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ასოციაცია აერთიანებს 1000 მდე ოჯახს საქართველოს მასშტაბით.

„წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი GCRT-ქუთაისი“



რეგიონი: თბილისი, იმერეთი

ქალაქი/სოფელი: ქუთაისი

საქმიანობის სფერო: „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ მუშაობს ძალადობის მსხვერპლ ქალებთან და გოგონებთან, ბავშვებთან და არასრულწლოვნებთან.

„ალტერნატივა“

რეგიონი: აჭარა

ქალაქი/სოფელი: ბათუმი

საქმიანობის სფერო: ორგანიზაცია ეწევა კვლევით საქმიანობას. მუშაობს საბიუჯეტო ხარჯვებისა და კორუფციის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის კვლევებზე, ახდენს სასამართლო სისტემის მონიტორინგს.

„საორსა“

რეგიონი: აჭარა, სამეგრელო

ქალაქი/სოფელი: შუახევი, წალენჯიხა

საქმიანობის სფერო: ააიპ "საორსა" მიზანს ადამიანების პროფესიული და კარიერული განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფი ქალები და ახალგაზრდები არიან.

„დავიწყეთ ახლა“

რეგიონი: სამეგრელო

ქალაქი/სოფელი: ზუგდიდი

საქმიანობის სფერო: ააიპ „დავიწყეთ ახლა“ მუშაობს ახალგაზრდებთან, ქალებთან და კონფლიქტით დაზარალებული პირებთან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, განსაკუთრებით კი სამეგრელოში. ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვას, მათი საჭიროებების ადვოკატირებას და ადგილობრივ დონეზე საჭიროებებს მორგებული სერვისების დანერგვას.

„პირველი მაისის ახალგაზრდული ცენტრი“

რეგიონი: სამეგრელო

ქალაქი/სოფელი: პირველი მაისი

საქმიანობის სფერო: ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი სფერო: ახალგაზრდების გაძლიერება, არაფორმალური განათლების შესაძლებლობების განვითარება, ქალთა უფლებები, ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობა.

„რაჭის სათემო ცენტრი“

რეგიონი: რაჭა

ქალაქი/სოფელი: ონი, ამბროლაური

საქმიანობის სფერო: რაჭის სათემო ორგანიზაცია მუშაობს ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტებში. ძირითად სამიზნე ჯგუფები სოფლად მცხოვრები ქალები და ახალგაზრდები არიან. ორგანიზაცია ასევე მუშაობს გარემოსდაცვით საკითხებზე და არის რამდენიმე კულტურული ღონისძიების თანაავტორი.



„საზოგადოებრივი მონიტორინგის და კვლევის ცენტრი“

რეგიონი: იმერეთი

ქალაქი/სოფელი: ხარაგაული

საქმიანობის სფერო: ორგანიზაცია ახორციელებს თვითმმართველობის საქმიანობის მონიტორინგს, რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას და საკუთრების უფლების ადვოკატირებას.

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის შესახებ

თბილისის სახლი არის წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას. თბილისის სახლი შედგება შემდეგი ორგანიზაციებისგან: [„ადამიანის უფლებათა ცენტრი“](#), [„უფლებები საქართველო“](#), [„მედიის ინსტიტუტი“](#), [„საფარი“](#) და [„წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“](#). თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის სტრატეგიის მიხედვით, ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანია უფლებადამცველებისა და უფლებადაცვითი ორგანიზაციების დაცვა და გაძლიერება, ასევე ადამიანის უფლებათა საკითხებზე ცნობიერების ამაღლება.

www.hrht.ge;

www.defenders.ge;

<http://humanrightshouse.org/Members/Georgia/index.html>;

<https://www.facebook.com/humanrightshousetbilisi/?ref=bookmarks>